



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011789791897921

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;  
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

# 147245

05 / აპრილი / 2021 წ.

**გადაწყვეტილება**

**ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ**

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 158715/17; თარიღი: 01.04.2021 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი: ხარება კოშაძე (პირადი ნომერი 31001049036).

**გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი სტრუქტურული ერთეული/ტერიტორიული სამსახური:** საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური (შემდგომში - „ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური“).

**გასაჩივრებული გადაწყვეტილება:** სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ №882020644557-22 (24.03.2021) გადაწყვეტილება.

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის მოთხოვნა:** სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ № 882020644557-22 (24.03.2021) გადაწყვეტილების გაუქმება და საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

**უძრავი ნივთის მისამართი:** ქ. მცხეთა.

№ 158715/17 ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ის პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მათი განხილვის დამატარებელი გარემოება არ არსებობს.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს აღნიშნული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება. ამავ კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისს ადგენს კანონი. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში.

№882020644557 სარეგისტრაციო განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ მცხეთაში მდებარე 207 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ხარება კოშაძის (პირადი ნომერი

31001049036) საკუთრების უფლების რეგისტრაცია. სარეგისტრაციო განცხადებაზე წარდგენილია წერილობითი შეთანხმება (თარიღი: 18.03.2021 წ., დოკუმენტზე ხელმოწერების ნამდვილობა დადასტურებულია ნოტარიუს თ. კობერიძის მიერ), გაფორმებული ხათუნა კოშაძესა (პირადი ნომერი 01019053873) და ხარება კოშაძეს (პირადი ნომერი 31001049036) შორის, რომლის თანახმად, ხათუნა კოშაძე აცხადებს თანხმობას, სარეგისტრაციო მიწის ნაკვეთი გადაეცეს ხარება კოშაძეს.


ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლების შესაბამისად,

**გადაწყვიტა:**

1. მიღებულ იქნეს წარმოებაში ხარება კოშაძის (პირადი ნომერი 31001049036) № 158715/17 (01.04.2021) ადმინისტრაციული საჩივარი.
2. ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ პირად ჩართულ იქნეს ხათუნა კოშაძე (პირადი ნომერი 01019053873).
3. ადმინისტრაციული საჩივრისა და მას თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოს ხათუნა კოშაძესა (პირადი ნომერი 01019053873) და ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურს.
4. დაინტერესებულ პირს განემართოს, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვს, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის წარმოადგინოს წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოოს წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადოს აცილება და ისარგებლოს დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მიმდინარე კანონმდებლობით.
5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 2), მუხრანის საზოგადოებრივ ცენტრში და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.
6. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: **www.napr.gov.ge**.
7. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი



დავით დევიძე